

## საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და მოდიფიცირებას (ცვლილებების შეტანას) ახორციელებს ფაკულტეტი. ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულია:

**საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, მოდიფიცირება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება** - საგანმანათლებლო პროგრამებს (შემდგომში - პროგრამა) შეიმუშავებს და განახორციელებს ფაკულტეტი, რომელიც ასევე შეიმუშავებს მოქმედ პროგრამაში შესატან ცვლილებებს და ახდენს პროგრამების მოდიფიცირებას. პროგრამის/ცვლილებების პროექტი ფაკულტეტის დეკანის მიერ გადაეცემა ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს პროგრამის კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შესწავლის და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან და ბნსუ-ში მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (ბნსუ-ში მოქმედებს კურიკულუმის და სილაბუსის შემოწმების უნიფიცირებული ფორმები). ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი და-სკვნის შემთხვევაში, პროგრამის პროექტი წარედგინება აკადემიურ საბჭოს. ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების/შესაბამისობის არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო განიხილავს ამ შენიშვნების გათვალისწინების საჭიროებას - ხდება მათი გამოსწორება ან გათვალისწინების გარეშე, შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით, აკადემიური საბჭოსთვის პროგრამის პროექტის გადაცემა. ფაკულტეტის საბჭოს სხდომას შეიძლება დაესწროს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე) დასკვნის წარდგენის და დასკვნაში მითითებული გარემოებების დასაბუთების/განმარტების მიზნით. ფაკულტეტის საბჭოს და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განსხვავებული ხედვის შემთხვევაში აკადემიური საბჭო შეისწავლის ორივე მხარის არგუმენტებს. აკადემიური საბჭო წარმოდგენილი პროგრამის/ცვლილებების პროექტის განხილვის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ, გადაწყვეტილება პროგრამის/ცვლილებების დამტკიცების შესახებ მიიღება თუ პროგრამა შესაბამემა საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო (საზღვაო სფეროს პროგრამების შემთხვევაში) სტანდარტებს, ბნსუ-ს მისიას და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, ითვალისწინებს დარგში არსებულ სიახლეებს და მოთხოვნებს, უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას და კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე, არსებობს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი, პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი, მატერიალური და ადამიანური რესურსები და სხვ. პროგრამის მოდიფიცირების/ცვლილებების შეტანის საფუძველი არის საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, შეიძლება იყოს სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების გამოკითხვის შედეგები, პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებები, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები ან/და სხვ. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს და აკადემიური საბჭოს წარუდგინოს რეკომენდაცია პროგრამის გაუქმების შესახებ. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ, შეიმუშაოს რეკომენდაციები პროგრამის მოდიფიცირების/ცვლილებების შეტანის შესახებ. პროგრამა შეიძლება გაუქმდეს (სტუდენტთა განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფის პირობით), თუ პროგრამა არარენტაბელურია, აღარ შეესაბამება ბნსუ-ს მისიას (მისიაში ცვლილებების შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო პრიორიტეტებს (პრიორიტეტებში შესული ცვლილებების შემთხვევაში), თუ პროგრამაზე არ სწავლობს არც ერთი სტუდენტი ან/და სხვ.

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი** - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა ითვლება დამატებით აკადემიურ პასუხისმგებლობად, რომელსაც ახორციელებს პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორი. პროგრამის ხელმძღვანელობა შეიძლება დაეკისროს პროფესორს, ასოცირებულ ან ასისტენტ-პროფესორს მისი ადმინისტრაციული თანამდებობის მიუხედავად. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: უძღვება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესს, ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების, საგანმანათლებლო პროგრამის და პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სისტემატურ ანალიზს, შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტის და აკადემიურ საბჭოებს; საგანმანათლებლო პროგრამის და პროგრამით გათვალისწინებულ კურსებთან დაკავშირებით დახმარებას და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს და პროფესორულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირს; კოორდინაციას გაუწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის, დეკანის, ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოების წინაშე.

2. ბნსუ-ს სასწავლო პროცესი მარტულირებელი დებულებით განსაზღვრულია:

**ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი** - საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში - პროგრამა) არის კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საფეხურის აღწერით (პროგრამის საფეხურის შესაბამისად) და დარგობრივი მაჩვენებლებით (არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული დონით. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ბნსუ-ს მისიას, იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა. პროგრამაში შემავალი კომპონენტების შესწავლის თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დამოკიდებულება უნდა იყოს ლოგიკური და უზრუნველყოფს სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემა საფეხურებრივი პრინციპით „ზოგადიდან - კონკრეტულამდე, მარტივიდან - რთულამდე“, რათა ეტაპობრივად და თანმიმდევრულად, უკვე შექმნილი ცოდნისა და უნარები გაღრმავებით და სრულყოფით და ახალი კომპეტენციების ჩამოყალიბებით მოხდეს პროგრამით დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევა.

**პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი)** - პროგრამის აღწერილობაში (კურიკულუმში) უნდა იყოს მითითებული: პროგრამის დასახულება; უმაღლესი განათლების საფეხური; პროგრამის მიმართულება, სპეციალობა/სპეციალიზაცია (მაგისტრატურის შემთხვევაში); მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა კრედიტებით; სწავლების ენა; პროგრამის აქტუალობა/შეთავაზების მიზეზი; პროგრამაზე მიღების პირობები; პროგრამის მიზნები; სწავლის შედეგები (კურსდამთავრებულის კომპეტენციები); პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები; სტუდენტის შეფასების სისტემა; სასწავლო გეგმა; კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო; კურსდამთავრებულის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. გარდა მითითებულისა, კურიკულუმში შეიძლება შეიცავდეს პროგრამასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციასაც. კურიკულუმს უნდა დაერთოს სწავლის შედეგების რუკა (ყველა სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის მითითებით), ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ და პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის კომპონენტების პროგრამები (სილაბუსები).